## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-360

30/04/2019 ქ. თბილისი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს "ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" მდ. საშუალაზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (საშუალა 1 ჰესი და საშუალა 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდ. საშუალაზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (საშუალა 1 ჰესი და საშუალა 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტზე" სკოპინგის დასკვნა N39 (04.04.2019წ.);
2. შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიამ" სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N39 (04.04.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი